№ 78, აპრილის 14, კვირა. 1866—1885 აპრილის 14, კვირა. № 78.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქიღაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. –4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული-ყოველი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

თავადნი მიხეილ და დიმიტრი ივანეს-ძენი მელიქიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთ და მცნობთა თავიანთი დის **კნეინა თამარ ივანეს ასულის ჩოლაყაშვილის** გარდაცვალებასა, სთხოვენ მობრძანდენ დღეს აპრილის 14, დილის 9 საათზე მიცვალებულის განსასვენებლად ნიკოლაევის ქუჩიდამ სახლი № 18 წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (3—3)

## ქართული თეატრი

დღეს, აპრილის 14-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

„ცხოვრების თანამგზავრი“

კომედია 5 მოქ. გად. ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

## შინაური ქრონიკა

— დღეს, აპრილის 14-ს გორში შეიკრიბება გორის მაზრის თავად-აზნაურობა ჩვეულებრივს სამაზრო კრებაზედ. როგორც შევიტყვეთ, ამ კრებაზედ მრავალი ხალხი აპირობს დასწრებას და ფრიად საყურადღებო საგნებზედაც იქნება მოლაპარაკებაო.

— შორაპნის მაზრაში სოფელს საზანოში ერთი გასათხოვარი ქალი დაორსულებულა და მთელი ცხრა თვის განმავლობაში თავის საიდუმლო შეუნახავს. როცა მოსულა დრო მშობიარეობისა, გასულა კარში, უბებიოდ უშობნია შვილი, ამდგარა მშობიარე, წაუღია ახლად დაბადებული და წყლის პირად გადაუგდია, სადაც ბავშვი გამვლელ-გამომვლელებს დაუნახავთ და წარუდგენიათ მამასახლისთან. ამ საგანზედ გამოძიება დაუნიშნავთ. ქალი არ უარობს თურმე თავის დანაშაულს.

— ამას წინად ჩვენს ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილი იყო განცხადება ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის სოკოლოვისა, რომ სემინარიაში არ მიიღებიან ბავშვები, რომელნიც კარგად ვერ გამოსთქმენ შემდეგს ასოებს: д, л, т, ч, к, и, ы, е და э-საო.

ეხლა იგივე დირექტორი ამ საგანზედ აცხადებს შემდეგს:

„კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველმა მაცნობა შემდეგი: თუმცა სასურველია, რომ სემინარიაში შემოსვლის მსურველთ წინდაწინვე გავარჯიშებული ჰქონდეთ გამოთქმა როგორც ამ ასოებისა, ისე საზოგადოდ რუსული ენის სიტყვებისა, მაგრამ ეს პირობა აუცილებლად და სავალდებულოდ არ უნდა ჩაითვალოსო“.

— დუშეთის მაზრიდამ გვატყობინებენ, რომ სოფ. ჟოპორტში და სხვა ადგილებში კარგა დიდი სეტყვა მოსულა. ამბობენ, რომ გორის მაზრის ზოგიერთა სოფლებშიაც მოსულა სეტყვაო.

— ქუთაისიდამ გვწერენ: ქუთაისში ყვავილი კიდე არ გვცილდება, მაგრამ, ღვთის მადლით, მაინც-დამაინც ცუდი შედეგი არ მოსდევს. რომ ექიმებს გამბედაობა ჰქონდესთ, იქნება უფრო მალე განვთავისუფლებულიყავით ყვავილისაგან, მაგრამ ვერ ბრძანებულან „უშიშარი გმირები“. ან სულ არ ეკარებიან და ოდ გაბედეს სახლში შესვლა, ავადმყოფს შორიდგან სინჯავენ, და, აბა, ხშირად ახლოდგანაც რომ ვერაფერს ატყობენ, შორიდგან რას შეატყობენ!

ახალი სალაპარაკო ამბავი აქ ქალაქის ერთ-დღიური აღწერა არის. ხვალ უკანასკნელად ჩამოივლიან აღმწერლები. ამბობენ, სრული აღწერა არ იქმნებაო, რადგან აქა-იქ რჩებათ თურმე ხალხი. მაგრამ, იმედია, ბევრი შეცდომაც არ ექნებათ. ქმაწვილკაცებს (კომისიის წევრებს), ამბობენ, აღწერის გათავების შემდეგ ყრილობა ექნებათო და რაღაცაზედ მოლაპარაკება უნდათო; მაგრამ მოლაპარაკების საგანი ჯერ საიდუმლოებით არის მოცული. ბევრი კი ხუმრობით ამბობს: აღწერა მიტომ არისო, რომ მმართებლობას ჰსურს გაიგოს, თუ რამდენი გაუთხოვარი ქალი ირიცხება ქუთაისში, რომ შემდეგ მათთვის საქმროების მონახვაზედ განკარგულება მოახდინოსო. ამ ხმების გამო ბევრს „ბოხოხოსანს“ (აქ ქალებს ბოხოხი ჰხურავთ) ტკბილად უცემს გული... ამ ხოლერის და ომის მოლოდინში ქორწილებში მაინც გავატარებთ ქეიფიანად დროებას!...

— კაპიტანი ერთის ინგლისის გემისა რომელიც ეხლა ხან გასულა ბათუმიდან, აუწყებს თვის მთავრობას, რომ ბათუმში კიდეც შეუდგენ სამხედრო მომზადებულებას. მთელი ქალაქი ჯარითაა სავსე და გაცხარებით მუშაობენო. ეტყობა, რომ რუ-

## გაზაფხული

იკაზმება გაზაფხულის
ღამე გრილი, მთვარიანი,
ტკბილად ფშვინავს ველი მწვანე
და მინდორი ცვარიანი.

ვით აშიყი, მაღლით ზეცა
თავზედ დასტრფის დედა-მიწას
და ქვეყანაც ენაზება
ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.

უქრის სიო, ყვავილთ გროებს
შესცელქობს და სუნით სთვრება,
ხან ბუჩქებში ნავარდს შეჰქმნის
და ხან წამზედ სადღაც ჰქრება.

გადასცილდა შუა ღამეს
და ბულბულმაც მოსპო სტვენა,
მოერია დაღლილს ლეული
და ცოტა ხნით მოისვენა.

მარტო ვზივარ მაღალ კორდზედ
და ოცნებით შორეს ვჰფრინავ:
დღეს რაღაცა განუსაზღვრელ
იმედს ჩემს გულს მევე ვჰფინავ.

მინდა ვნახო სხივთა მფრქვევის
განთიადის ცისკრის კრთოლვა
და ამ ბნელის, იმედ-მკვლელის,
გაქრობა და უკუ-ლტოლვა.

ამ მომავლის ცისკრის სხივი,
ვიცი, ბევრ გულს აძგერებს
და ამ მწუხარ მგოსანსაც კი
უფრო ტკბილად აამღერებს.

მაგრამ, რა ვჰქნა? რად შეჩერდა
ცისკრის სხივი მძლავრ-დიადი!
მინდა, მინდა რომ ვიხილო
საიმედო განთიადი.

ცახელი.

## სვანეთის ეკლესიათა ქონება

ეკლესიებს სვანეთში უხსოვარის დროიდგან ჰქონიათ შეძენილი უძრავი და მოძრავი ქონება. საეკლესიო უძრავ ქონებას შეადგენენ: სახნავ-სათესი ადგილები, სათიბები, ტყეები და სახლები; ხოლო მოძრავ ქონებას: ოქროს და ვეცხლის ჭურჭლეულობა, მაგალითად: თასები, აზარფეშები, სურები, სხვა ქვეყნების და საქართველოს ძველი დროის მანათები, რომელნიც სამწუხაროდ დღეს არსად მოიპოვებიან, ძვირფასი თვლები, შვილდ-ისარი, ჯიხვის, არჩვის და ირმის რქები, ძველი დროის სამუშაო იარაღები, როგორც, მაგალითად: სპილენძის ნაჯახები, პერგამენტზედ ხელნაწერი სამღთო წერილის წიგნები ქართულს და აქა-იქა ბერძნულს ენაზედ, სპილენძის დიდი საარაყო ქვაბები; კაცის და ქალის სამკაული: სატევრები, ლეკურები, ვეცხლის საყურები ქალისა, „ჩაფრასტები“ (ქალის სამკაული, გულზედ ჩამოსაკიდებელი) და ბეჭდები.

ზემოდ ნაჩვენების უძრავ და მოძრავ ქონებას სვანეთის ეკლესიები იძენდენ შემდეგის სახით. ა) როდესაც საზოგადოებაში რომელიმე ოჯახი უმემკვიდრეოდ, მამრობითი სქესში, გადაშენდებოდა, მაშინ გადაშენებული ოჯახის ქონების პატრონად რჩებოდა საზოგადოება. ეს უკანასკნელი ერთ საუკეთესო ყანას, სათიბს ანუ ტყეს საეკლესიოდ დაასახელებდა, თუმცა სახრავი-კი, როგორც დაინახავს მკითხველი, საზოგადოებისა იყო. დანარჩენ გადაშენებულ ოჯახის ქონებას საზოგადოება უნაწილებდა ოჯახის შორი-ახლო მონათესავეთა. ყანას და სათიბს საეკლესიოდ დასახელებულს, საზოგადოება დაადებდა განსაზღვრულ ბეგარას და სამ წლობით გარდასცემდა ერთ ვინმე მოსახლეს ამ ბეგარითვე საზოგადოების სასარგებლოდ. ვადის გათავების შემდეგ მებეგრეს ნათქვამი ადგილი უნდა დაეთმო სხვა მოსახლისათვის და ამნაირად საბეგრო ადგილს ჩამოირიგებდენ ხოლმე, რასაკვირველია, ბეგრის მიცემით, საზოგადოების კომლთა რიცხვზედ. ბეგარას იხდიდა მოსახლე არაყით: ერთ დღიურ ყანას—კარგ მამულს 4—6 მანათის არაყი ედვა. მებეგრე ვალდებული იყო ყოველ წლობით მიეტანა ეს ბეგარა—არაყით ეკლესიაზე, რასაც საზოგადოებას შეატყობინებდა; საზოგადოება თავს მოიყრიდა, კომლიდგან თვითო კაცი და ხანდისხან ორ ორი და სამ-სამიც; არაყს ეკლესიას შეალოცავდა, გადაშენებულ ოჯახის მიცვალებულთ შენდობას შეუთვლიდა და იქვე დალევდა. ამ გვარივე ბეგარა ედვა სათიბსაც, რასაკვირველია, შემოსავლის კვალობაზედ. რაც შეეხება საბეგრო ტყეებს, ისინიც სრულს საზოგადოების სარგებლობაში იყვნენ: სასოფლო გზებისა და ხიდებისათვის ხე-ტყეს მუქთად სჭრიდენ. თუ კერძო პირებს უჭირდა ხე-ტყე, მაშინ საზოგადოება აძლევდა ფასით.

ბ) რუ რომელიმე წევრი ოჯახისა ისე ავად გახდებოდა, რომ მისი მორჩენა, ხალხის აზრით, მარტო ღმერთზე იყო დამოკიდებული, მაშინ მოსახლე საზოგადოებას შეჰყრიდა და განუცხადებდა სურვილს, რომ იგი ამა და ამ ადგილს (ყანას, სათიბს, ტყეს) სდებს საზოგადოების საბეგროდ, რომლისთვისაც სთხოვდა საზოგადოებას შეხვეწნოდა იგი ეკლესიას ავადმყოფის მორჩენისათვის. საზოგადოე-

სები, თუ ომი ასტყდა, ყოველ წუთში მზად იქმნებიან. ორი დიდი გემი უკვე დანიშნულია ჯარის იარაღების და სხვა საომარი მასალების გადასატანად. ნაპირების სიმაგრეები, რომელიც ამ უკანასკნელ ომში დაზიანებულნი იყვნენ, სრულებით განაახლეს, ასე რომ ბათუმი, სულ მცირე ხანში შეიძლება გახდეს ზღვის მრისხანე სიმაგრედო. („ნოვ. ობ“.)

— ფრანცუზ მოგზაურს E. Orsolle-ს, რომელიც 1882 წელს მოგზაურობდა ჩვენს ქვეყანაში, ესლა გამოუცია პარიჟში წიგნი: „Le Caucase et la Perse“ კავკასია და სპარსეთი (სპარსეთშიაც მოგზაურობდა). წიგნში აღწერილია უმეტესად პოლიტიკური და ისტორიული მხარენი სამეგრელოისა, იმერეთისა და დაღისტნისა. („კავკაზი“).

— ამ დღეებში გამოვიდა ზაქ. მთაწმინდელის თხზულება—ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია.

---

## „დროების“ კორესპონდენცია

—

**წინამხარი**, აპრილის 10-ს. პროვინციალური მეთვალყურე თავის კუთხის ცხოვრების აღწერაში აუცილებლად თავად-აზნაურებს უნდა წააწყდეს. ამიტომ, ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ნება-უნებურად, დღესაც თავად-აზნაურებზედ მექნება საუბარი.

მატერიალური მდგომარეობა წინამხრის მებატონეებისა ისეთ ყოფაშია (ზოგიერთების გარდა), რომ მათ მომავალი საკეთილოს არას უქადის. დღითი დღე გაუმჯობესობის მაგიერ, ჩვენ ვხედავთ მათს უკან და უკან დაწევას. თუმცა ჩვენი წინამხრის მებატონეები ვერ დაემდურებიან მამულ-დედულის უქონლობას, ბუნების სიუხვეს, მაგრამ მაინც ყოველ წლივ, ვიმეორებთ მათს მდგომარეობას გაუმჯობესობის ნიშან-წყალი არ ატყვია.

რა არის მიზეზი? მიზეზი მათი დაუდევარი ცხოვრებაა და ძმური თანხმობის უქონლობა.

წლის სარჩოს მამული წინა-მხრის მებატონეებს, თითქმის ყოველთვის, აძლევს, მაგრამ ზამთრის უსაქმობისა და წინ დაუხედავის ცხოვრების გამო ეს სარჩო იანვრამდის ძლივს გახვდებათ ხოლმე. შუა ზამთარში მამული არას მისცემს პატრონს და ეს არის მიზეზი, რომ გაჭირების დროს საჩქაროდ გაღმა-მხრის ტყეს მიატანებენ ხოლმე.

მებატონეების გაჭირვებით სარგებლობენ გარეშე პირნი და თითქმის ნახევარ ფასად ჰკარგავენ ტყეს. დღეს მოკვეთის თვალით არ ინახვის ერთ დროში მშვენიერი, ახოვანი გაღმამხარის დაბურული ტყე.

გაღმა-მხარე გაუყოფელი მამულია და თითქმის ყველა მონაწილე ერთმანეთის ჯიბრით, რაც შეუძლიანთ, აკაფვინებენ მას, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ამ ჯიბრის ტყე დიდხანს ველარ აუვა.

ესეთს გამოურკვეველ სარგებლობას საზოგადო მამულით აუცილებლად მოსდევს თანამოძმეთა შორის უსიამოვნება სიტყვით, რომელიც ხშირად მოქმედებით უსიამოვნებად გარდაიქცევა ხოლმე. სწორედ გვაკვირვებს და ვერაფრით აგვიხსნია: ნუ თუ არ მოჰბეზრდათ ჩვენს მებატონეებს, ამოდენა დავი-დარაბა? ნუ თუ დღემდის ვერ გადასწყვიტეს გაეყოთ ერთმანეთში, რაც სადავიდარაბო მამული ჰქონდათ და მით აეცილებინათ არა-საკადრისი შეურაცხება ერთი-ერთმანეთისა.

ამის მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ გაღმა-მხრის ზოგიერთა წვრილნი მონაწილენი არ არიან მომხრენი მამულის გაყოფისა და უსიამოვნების მოსპობისა, რადგან დღეს მომეტებულად სარგებლობენ. თუ რა მოელის გაღმა-მხარს და თვით მის მეპატრონეთაც ასეთის უთანხმოებით და უთავბოლობით არა შორეულს მომავალში,—ეს ყველასათვის ცხადია.

ნუ თუ დრო არ არის წინა-მხრის მებატონეებმა. მოიგონონ ძველებური თანხმობა, ძმურად მისცენ მხარი ერთმანეთს და თუ თვითონ არა, მომავალ თაობას მაინც არის აალდინონ ყოველი შუღლი და უთანხმოება.

ი. კასელი.

---

## დავა შუა აზიაში

მოულოდნელი კრებანი მინისტრთა რჩევისა ჩვეულებრივად გადიქცენ ამ ჟამად ლონდონში. უეცრივ მოსული ტელეგრამა უეცრივვე, მოულოდნელად ჰკრებს მინისტრთა რჩევას. ამ გვარივე უეცარი კრება აპრილის 2-ს მოხდარა. საათ ნახევარს გაგრძელებულა ეს სხდომა და ამის შემდეგ ერთმანეთ-შორის გრძელი ბაასი ჰქონიათ სამხედრო და ზღვის მინისტრს. გარეშე საქმეთა მინისტრს, ლორდ გრენვილსაც გრძელი სჯა ჰქონია ამ დღეს მუსურუს-ფაშასთან და ჰასან ფემი ფაშასთან. ამავე დღეს ლონდონს მისულა ამბავი, რომ კუნძულს ბომბეიაზე ომი გადაწყვეტილად მიაჩნიათ, რადგან ამ კუნძულის ნავთსაყუდელზე აუარებელს სამხედრო მასალას აგროვებენო. ნავთ-საყუდელი დაცული იქმნება ასაფეთქის მინებით. ზღვის ჯარში საზოგადოდ დიდი აღელვება სუფევს, სახომალდო მზღვეველთ კომპანიებმა საკმაოდ ასწიეს ტარიფი, აგრეთვე გაავრცელეს პრემია იმ გემებისა, რომელნიც შავსა და აზოვის ზღვაში მიდიან და ან მოდიან ამ ზღვებიდამ.

ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა თეირანში ერთი თვისი მოხელეთაგანი და მიანდო მას იზრუნოს, რომ საშიკრიკო გზა და ტელეგრაფი გაიმართოს გენ. ლემსდენის სადგურამდის.

თეირანიდამ სტამბოლში გაგზავნილი ტელეგრამა ამბობსო, რომ ახმედ-მიუბ-ხანმა (სანამ სპარსეთის მმართებლობა დაატუსაღებდა მას) გაუგზავნა მერვში დაწვრილებითი აღწერა სიმაგრე ჰერათისა, და აგრეთვე მთელის ჰერათის მიდამოს რუკა, რომელიც 1869—1871 წელს იქმნა გადაღებული შირალის ბრძანებით. ამ რუკისა მხოლოდ ორი პირი იყო გადაღებული, რომელთაგან ერთი ქაბულშია.

---

ბა, რასაკვირველია, თანხმდებოდა და შეწირული ადგილი საუკუნოდ, რჩებოდა საზოგადოებას საბეგროდ იმავე წესით, როგორც ზემოდ არის ნაჩვენები. მოძრავ ქონების რიცხვში, რომელიც ზემოდ არის ჩამოთვლილი, ოქრო-ვეცხლის ჭურჭლეულობა არის შეწირული ეკლესიებისადმი კერძო პირებისაგან—უმეტეს ნაწილად კი საქართველოს მეფეებისა და გამოჩენილი გვარებისაგან. მაგალითად თაალვისუფ სვანეთში მესტიის წმ. გიორგის ეკლესიაში, სხვათა შორის, შემდეგი ნივთები არიან შეწირულნი: რუსუდან დედოფლისაგან ვეცხლის ჩაფი, გიორგი მეფისაგან (რომელი გიორგი მეფეა წარწერაზე არა სჩანს) ვეცხლის თუნგი, მეფე ბაგრატისაგან (რომელი ბაგრატია, — არც ესა სჩანს) ვეცხლის თასი, მართა გორგასლანის ქალისაგან და ხოსრო ჭილაძისაგან ვეცხლის თასები. სხვა სვანეთის ეკლესიებში შეხვდებით ამ გვარსავე ნივთებს წარწერებით შემწირველთ გვარებისა: ორბელიანის, დადიანის, გურიელის, ვაჩნაძის, მაჩაბლის, წულუკიძის, ლიონიძის, ჯაფარიძის და სხვა-და-სხვა. სპილენძის ქვაბები, კაცის და ქალის სამკაულნი, ნადირის რქები და სხვანი შეწირულნი არიან თვით სვანებისაგან და ამ გვარი შეწირულება დღემდინაც არ შემწყდარა ხალხში. აქ საჭიროა შევნიშნო, რომ სპილენძის ქვაბებს სვანი სწირავდა ეკლესიას მაშინ, როდესაც სახლში ვინმე ავად ჰყავდა და სიკვდილისა ეშინოდა; ხოლო სამკაულს, ნამეტურ ქალის საყურებს და „ჩაფრასტებს“ მაშინ, როდესაც ცოლ-ქმარს ბევრი ხნის ერთად ცხოვრების შემდეგ ვაჟი-შვილი შეეძინებოდათ. ქალის—დედა მადლობის ნიშნად უთმობდა ეკლესიას თავის საუკეთესო ქონებას, ვეცხლის ნივთეულობას. ნადირის რქებს სწირავდა ეკლესიას მონადირე, ნიშნად მადლობისა. რაც შეეხება ძველ იარაღებს და მანათებს, იგინი, უეჭველია, შემოტანილია ხალხისაგან სხვა ქვეყნებიდგან და შეტანილი შესანახავად ეკლესიებში, როგორც ხალხის ერთად-ერთ საუნჯეში, სადაც არაფერი იკარგებოდა. შვილდ-ისრის შესახებ, აი, რას მოგვითხრობს ხალხი: ძველს დროში, სახელდობრ იმ დროში, როდესაც თოფი არ იყო მოგონილი, სვანეთში მოდიოდენ მტრის ჯარები, რომელთაც ხალხი ეკლესიის შემწეობით ერეოდა. იმათ ნადავლს ეკლესიაში ინახავდა სახსოვრად გამარჯვებისა. ზემოხსენებული მოძრავი ქონება სვანეთის ეკლესიებისა თუ იმატებდა, თორემ არ იკლებდა, რადგანაც შემწირველთ რიცხვი დროს განმავლობაში მეტი და მეტი ჩნდებოდა. თვითონ ეკლესია არაფერსა საჭიროებდა, რომ მისი ქონებიდგან რაიმე დაეხარჯა ხალხს მისთვის. ხატი და ჯვარი ეკლესიებს არ აკლდათ; ახალ ეკლესიებს ხალხი აღარ აშენებდა, რადგანაც ძველი აშენებულების რიცხვი მრავალი იყო. წირვა-ლოცვის დროს სახმარებლად წმ. სამთელი, ხალხისაგან შეწირული, ბლომად იყო. სამღვდელო სამკაულს თვითონ სასულიერო წოდება იძენდა. მართალია, სპილენძის ქვაბებს ხალხი ხმარობდა ხორცის მოსახარშავად სოფლობაზე და სახლშიაც ალაპების დროს, თასებს და აზარფეშებს არაყის სასმელად კათხების და სტაქნების მაგიერ, მაგრამ მერე ისევ უკლებლად შეჰქონდათ ეკლესიაში.

ეკლესიების გაქურდვა სვანისაგან ისეთი იშვიათი მოვლენა იყო, რომ ახალ დგმას მხოლოდ ერთი-ორი მაგალითი ახსოვს, რომ მის ხსოვნაში სვანს ეკლესია გაეცარცვა ამ უკანასკნელ დრომდე ე. ი. 1874 წლამდე, ამ წელს სასულიერო მთავრობამ მისგან დანიშნულ კომისიით ცნობაში მოიყვანა საეკლესიო უძრავი და მოძრავი ქონება. მაგრამ სამწუხაროდ ამ წლიდგან იწყება სვანეთში ეკლესიების გაქურდვა და გრძელდება დღევანდლამდე. მაგალითად დაიკარგა ანუ უკედ ვსთქვათ, მოიპარეს ვეცხლის თასი მულახის ერთ ძველ ეკლესიაში. 1877 წელს გაცარცვეს მესტიის მდიდარი წმ. გიორგის ეკლესია, რომლიდგანაც წაიღეს 1500 მანათზედ მეტად ღირებული ნივთები და არსად არ აღმოჩნდენ. 1880 წ. უშკულის ორს ეკლესიაში ორი ვეცხლის თასი სადღაც გაჰქრა და 1883 წ. მაისის 24-ს უშკულისვე ღვთის-მშობლის ეკლესიიდგან მოიპარეს თითქმის ყველა მისი უძრავი ქონება, მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ნივთები არ დაკარგულან, რადგანაც ხალხმა მალე შეიტყო და კვალს მიაგნო. ამბობენ, რომ ლატალის და ლენჯერის საზოგადოებათა ეკლესიებში აღმოჩენილია დაკარგულათ აგრეთვე რამდენიმე ვეცხლის საეკლესიო ნივთები.

სამ გვარად სამწუხაროა ეკლესიების გაცარცვა სვანეთში. პირველად იმისთვის, რომ გვიხატავს ხალხის ზნეობით დაცემას, მეორედ, ხალხსა და ეკლესიას ეკარგება თვისი სიმდიდრე და მესამედ, ჩვენს არქეოლოგიას და ისტორიას ხელიდამ უქრება ძვირფასი მასალა.

თ—ი სვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეირანის გაზეთი“ იწერება, რომ შაჰმა ნება მისცა რუსეთს ჯარები გაიყვანოს ასტრაბადში და სპარსეთზე გაატაროს.

„Daily News“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იწერება—რუსეთის ოფიციალურს წრეებში ჰფიქრობენო, რომ გენ. კომაროვის ძლევა ავღანელების ჯარისა, რუსეთის მართებლობას აიძულებს არა მცირე დათმობაზედ და ამით არავითარი შეფერხება არ მიეცემა მის სახელს. რუსეთის გავლენა საშუალო აზიაში საკმაოდ გავრცელდა ავღანელების დამარცხების შემდეგაო.

მთელს ევროპას ეგონა, რომ გერმანია რუს-ინგლისს შუა შუამავლობას იკისრებდა. მაგრამ სულ სხვას იწერება პეტერბურგელი კორესპონდენტი „Journal des Débats“-სი. ომი მხოლოდ გერმანიას მისცემს სარგებლობასაო.

ამერიკული გაზეთები იწერებიან, რომ როგორც რუს-ინგლისის ომი გამოცხადდება იმწამსვე უნდა შესდგეს კონგრესი და დაირღვეს 1792 წელს დადგენილი კანონი, რომლის ძალითაც საზღვარ-გარეთის ხომალდებს ნება არ ჰქონდათ ამერიკის დროშით ეცურათ.

„Morning Post“-ის სიტყვით რუსის მმართებლობის პასუხს ინგლისის მმართებლობისადმი ერთობ მცირე დამამშვიდებელი ხასიათი აქვსო. რუსეთმა ჩამოიხსნა პირ-საფარი: თავისაზე სდგას, უნდა დაინარჩუნოს ყველა დაჭერილი ადგილები და იმუქრება, რომ ჰერატსაც დაიჭერს.

ინგლისისა და ოსმალეთის შორის კავშირის ჩამოგდება ამ ჟამად ძალიან ადვილ საქმედ მიაჩნიათ, რადგან ინგლისი ჰპირდება ხონთქარს, რომ ბევრს დაუთმობს ეგვიპტეში და სუდანში.

ინგლისის მთავრობა პირობით ეკვრება ბალტიის ზღვაში მდებარე კუნძულ გოტლანდზე ქვა-ნახშირის მადნების მეპატრონეთ.

# პირი

## მცხეთის სოგორის გუჯრისა

### განგება დარბაზობისა.

რა ჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, და ეპისკოპოსნი ამა წესითა დასხდენ: ბრძანოს ქართლისა კათალიკოსმან და დაჯდეს მარჯუჯენით მეფისა ტახტსა ზედა მოპირდებით ნატითა და ბალიშითა, შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა ნატითა და ბალიშითა, შემოვიდეს დიდის სომხეთის მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოსს ქვემოდ ნატითა და ბალიშითა, შემოვიდეს მთავარ-ეპისკოპოსი და დაჯდეს მიტროპოლიტისა ქვემოდ ნატით უბალიშოდ. შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქვემოთ ნატითა უბალიშოდ, შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს ამბა ალავერდელსა ქვემოდ უნატოდ, შემოვიდეს კუმურდოელი და დაჯდეს ქისიყელსა ქვემოდ. შემოვიდეს ნინოწმინდელი არხიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელის ქვემოდ. შემოვიდეს იშხნელი და დაჯდეს კუმურდოელსა ქვემოდ. შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმინდელს ქვემოდ, შემოვიდეს მტბევარი და დაჯდეს ანჩელს ქვემოდ. შემოვიდეს წურწყაბელი და დაჯდეს მტბევარს ქვემოდ. შემოვიდეს წყაროს-თაველი და დაჯდეს წურწყამელსა ქვემოდ. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს წყაროს-თაველსა ქვემოდ. შემოვ დეს მანგლელი და დაჯდეს ურბნელსა ქვემოდ. შემოვიდეს წინწყაროელი და დაჯდეს მანგლელ' ქვემოდ. შემოვიდეს რუსთაველი და დაჯდეს წინ-წყაროელს ქვემოდ. შემოვიდეს წილკნელი და დაჯდეს რუსთაველსა ქვემოდ. შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წილკნელსა ქვემოდ. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს კაწარელს ქვემოდ. შემოვიდეს მროველი და დაჯდეს ურბნელს ქვემოდ. შემოვიდეს სამთავნელი და დაჯდეს მროველს ქვემოდ. შემოვიდე'ს ნიქოზელი და დაჯდეს სამთავნელს ქვემოდ. შემოვიდეს წყუგოჯელი და დაჯდეს ბედელს ქვემოდ. აქა მამათ მთავართა. შემოვიდეს ვაჟაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელს ქვემოდ. შემოვიდეს ბოლნელი მამათ მთავარი და დაჯდეს ვალაშკერტელს ქვემოდ. შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბოლნელს ქვემოდ. შემოვიდეს კარელი მამათ მთავარი და დაჯდეს ბოლნელს ქვემოდ. შემოვიდეს ხარჭაშნელი და დაჯდეს კარელს ქვემოდ. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს ხარჭაშნელს ქვემოდ. შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს ტფილელს ქვემოდ. შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს წალკელს ქვემოდ. შემოვიდეს ჭერემელ-ქალაქელი და დაჯდეს ბანელ' ქვემოდ. შემოვიდეს დმანელი და დაჯდეს ჭერემელ—ქალაქელს ქვემოდ. შემოვიდეს დადაბანელი და დაჯდეს დმანელს ქვემოდ. შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს დადაბანელს ქვემოდ. მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მომღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამოისხდენ ეპისკოპოსთა. სეფესა ჯვარის მტრთველსა, ათაბაგსა და სპასალარსა შუა მართებს ჯდომაჲ. ვინცა ესე დიდის მეფეთ მეფისა არჩილისა ბრძანებული და განაჩენი და ჩუჱნ გლახაკისა ქართლისა კათალიკოსისა მიქაელისაგან დამტკიცებული შეურაცხჰყოს, და ამას განაჩენსა ურჩ ექმნას, კათოლიკე ეკლესიისაგან განისადოს და ურჩებისა პატიჟი მიეხადოს, ვითარცა სჯულისა გარდამავალსა და რომელიცა პატივი აქუნდეს, იგიცა მოემარცოს.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აპრილის 12-ს

**ლონდონი.** გაზეთი „Times“ ავღანის საქმის გამო უმჭველს განხეთქილებას არ მოელის; თვით ელჩების სტეილისა (რუსეთის ელჩი ინგლისში) და ტორნტონის (ინგლისის ელჩი რუსეთში) გამოხმობა თავ-თავიანთ სახემწიფოებში, გაზეთის აზრით, პირდაპირს განხეთქილებას არ გამოიწვევს; თუმცა შეიძლება საქმე იქამდის მიაღწიოსო რომ სხვა სახემწიფოებმა იძულებულ-ჰყონ რუსეთი და ინგლისისათვის გამოსადეგი პირობები მიაღებინონო, შეიძლება ეს მოხდესო, რადგან ომი ათასობით ხალხს გაანადგურებს ნეიტრალურ სახემწიფოებში და საშნელოა, რომ ბრძოლის ველი ვიწროდ შემოიზღუდოს და არ გავრცელდესო. სამინისტროს გაზეთი „Daily News“ მოლაპარაკებას სრულიად უიმედოდ არა სთვლის.

**კაირი.** საფრანგეთის საგენერალო-კონსულს ნაბძანები აქვს შესწყვიტოს ეგვიპტის მართებლობასთან ოფიციალური კავშირი, რადგანაც ეგვიპტის პოლიციამ დაარღვია პირობა და შეეხო ფრანცუზულ გაზ. „Bosphor Egyptien“-ის რედაქციას.

აპრილის 13-ს

**პეტერბურგი.** გამოიცა ბრძანება სამხედრო უწყებისადმი: ათს გვარდიის ქვეითი ჯარის პოლკებს მიემატოს შვიდ-შვიდი უმცროსი აფიცერი; სამს გვარდიის და თოთხმეტს არმიის მსროლელთა ბატალიონებს ორ-ორი უმცროსი აფიცერი. მიემატოს დაუყოვნებლივ გრენადერის პოლკებს, რომელნიც ვარშავის სამხედრო ოლქში სდგანან ხუთ-ხუთი; ვილნოსა, კიევისა და ოდესის ოლქში—თიხ-თხო და სხვა ოლქებში—თითო აფიცერი. საზოგადოდ-კი ქვეითი ჯარის პოლკებს მიემატოს შვიდ-შვიდი აფიცერი, ამ საგნისათვის ფულის დანიშნვის კვალობაზედ.

„Новое Время“ გვაუწყებს, რომ კრონშტატში შესდგა სამხედრო რჩევა, რჩევას ჰქონია სჯა, როგორ უნდა მოგერებულ იქმნას მტერი, თუ ომი გამოცხადდა. კრონშტატის სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში გაცხარებული მუშაობაა; ფორტებსა და ბატარეებში ღამითაც საქმობენ; გემების ასაფეთქებელ იარაღებს ათასობით მართვენ; ჯავშნიანი ხომალდები და ასი ამფეთქი გემი მზად არიან ზღვაში გასასვლელად.

**ვლადივოსტოკი.** ტყუილია, ვითომ აქაურს წყლებში ინგლისის ესკადრა გამოჩენილიყოს; იგი სდგას ნანგასაკში და შესდგება ექვსის ხომალდისაგან.

**ლონდონი.** მეშხედისა და თეირანის შუა მიწერ-მოწერა მოისპო, მაშასადამე მოისპო პირ-და-პირი მიწერ-მოწერა ლემ'დენთანაც.

## ბირჟა

პეტერბურგი აპრილის 12.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | — $23^1/_4$, $23^{11}/_{32}$ $23^9/_{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — $199^1/_4$, $198^1/_2$ $198^3/_4$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — $246^1/_2$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 41 კ. გაყ. |
| ტრამოუნის კუპონები — | 8 მ. 41 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და 7% |
| 5% ბილეთები ალმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გაოცემისა — — — | $97^1/_4$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 94 მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 94 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $215^1/_2$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $203^3/_4$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | $168^1/_4$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | . . . . . |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | . . . . . |

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

მროსის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 16 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 10 კ |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა - | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 | — | გ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე და 45 წამზე დილით.
(სამშაბათობით და შაბათობითსაჩქარო 10 ს. 58 წ ღამით.)

ქუთაისიდამ თბილისისკენ
12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზე და 25 წამ. ღამით,

მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქა-
რო 7 ს 53 წ. დილ.)

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

# განცხადებანი

## თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ყველა წევრებს—დამაარსებელთ და მოვალეთ ბანკისას, რომ ბანკის წესდებულებათა 82 §-ის ძალით ამა მდგომარე წლის აპრილის 27-ს არწრუნისეულ თეატრის ზალაში დანიშნულია ბანკის ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც უნდა განხილულ და დამტკიცებულ იქმნენ შემდეგი საგნები:

1) ანგარიში წარსულის 1884 წლის ბანკის მოქმედებისა.

2) 1885 წლის ბანკის მმართველობაზე ხარჯის განხილვა და დამტკიცება.

3) მოხსენება შესახებ არწრუნისეულის ქარვასლის და ბაღის ბანკის საკუთრებად შეძენისა.

4) მოხსენება იმ ქონებათა შესახებ, რომელნიც ბანკს დარჩა.

5) მოხსენება საზოგადოდ სხდომებში მონაწილეობის მისაღებად ვექილობათა შესრულებისა და წარმოდგენის შესახებ.

6) მოხსენება იმ საგნის შესახებ, რომ ბანკის მოქმედება გავრცელებულ იქმნას ქალაქს ბათუმშიაც.

7) მოხსენება დამფასებელთა და მათის კანდიდატების ამორჩევის წესის შესახებ.

8) ამორჩევა რიგისამებრ გამოსასვლელთ ბანკის მმართველობისა და დამფასებელ კომისიის თავმჯდომარეებისა.

9) ამორჩევა ზედამხედველის კომიტეტის წევრისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა
თ-დი. ი. ანდრონიკაშვილი.
(4—1)

## ქ. გორში

ივ. ბარამოვის მაღაზიაში იყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნები. (3—1)

## იყიდება

**სახლი ვენახით და ბაღით — 20** დესეტ. სახნავ. მიწა, ბანკის ვალია ამ მამულზე 1400 მანათამდე. მამული არის გორის მაზრის სოფ. პატარა თამარშენში, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ წერილითაც გენერალ პოპოვნიას, გორის სტანციით. (5—1)

## თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტი

საზოგადოების წეს-დების მე 7 § თანახმად ნიშნავს **საზოგადო კრებას აპრილის 25-სათვის**, დილის 10 საათზე სკოლის სადგურში, ნიკოლოზის ქუჩაზედ ჩითახოვის სახლში.

საზოგადო კრების წევრებად, წეს-დების ძალით, ითვლებიან წევრნი დამაარსებელნი თბილისის საადგილ-მამულო ბანკისა, აგრეთვე პირნი, რომელთაც სკოლის სასარგებლოდ წელიწადში სამ მან. მაინც შემოაქვთ.

კრებისაგან გასახილველი საგნები:

ა) ანგარიში კომიტეტის მოქმედებისა სკოლის შენახვის შესახებ.

ბ) არჩევა თავმჯდომარის ამხანაგისა და კანდიდატისა კომიტეტის წევრად.

თავ-მჯდომარე კომიტეტისა
(4—1) გ. მამაცაშვილი.

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

**სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,**

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანეთიდამ ათ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“
გამომცემელი
(25—9) გ. ქართველიშვილი.

გრ. ჩარკვიანის

# ქართული წიგნის მაღაზიაში

იყიდება

ყოველ-გვარი **ახალი** გამოცემული ქართული წიგნები. თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ძმ. მესხიევების შენობაში. (3—1)

---

განსაკუთრებული მაღაზია ორთქლის მაშინებისა ½,
როგორც **მკვიდრი** ისე ლოკომობილებისა
ჰორიზონტალური და ვერტიკალური 1—50 ცხენის ძალამდე

ჰორიზონტალური მაშინა ლოკომობილი 3—30 ცხენის ძალამდე.



მაშინა ვერტიკალური 1—20 ცხენის ძალამდე



მაშინა ჰორიზონტალური ნახევრად—მკვიდრი 5-50 ცხენის ძალამდე.



ყველა მაშინები დამზადებულები არიან

J. HERMAN LACHAPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs, Ingénieurs-Constructeurs.

RUE BOINOD, 31—33 (Boulevard Ornano, 4—6) PARIS.

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გაეგზავნება. (2—2)

---

ახალი მცირე მუდმივ-მომქმედი აპეჯი იაფად
მიიღო
ოქროს მედალი 1878 წლის გამოფენაზედ

## მუდმივ-მომქმედი აპეჯები

შუშხუნა სასმელების გასაკეთებლად:

ზელცერის წყლისა, ლიმონადისა, სოდისა, შუშხუნა ღვინოებისა, ლუდისა.



სიფონები დიდებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდია

J. HERMANN—LACHAPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs Ingénieurs Constructeurs.

RUE BOINOD, 31—33(Boulevard Ornano, 4—6) PARIS

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გაეგზავნება. (6—4)

---

საკლობუსო  კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. მრთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირსახოცები, ჭოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—14)

*Доз. ценз. Тифлисъ, 13 Апрѣля 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.